

ნანა შონია, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ მუშკუდიანი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

ნათელა ჯანელიძე, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირინე კოპალიანი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის მმართველი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გავლენა საბანკო კონკურენციაზე**

### **აბსტრაქტი**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე ძირფესვიანად შეიცვალა საბანკო სექტორი, ის პრაქტიკულად გახდა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ბიზნესი და ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებიდან ერთ-ერთი წარმატებული. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე ადგილი აქვს ბანკების კონცენტრაცია/კონსოლიდაციის პროცესს, საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების იდენტურობას, ბაზარზე ახალი მოთამაშის მიერ ადგილის დამკვიდრების სირთულეს და ა.შ. რაც ზღუდავს ბანკთაშორისი თავისუფალი კონკურენციის ელემენტებს. ზემოაღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების სათანადო მექანიზმების არარსებობით. ფაქტია, რომ შესაბამისი მიმართულებით ადმინისტრირების არსებული მექანიზმები და პროცედურები დახვეწას საჭიროებს, განსაკუთრებით საყურადღებოა ბანკთაშორისი კონკურენციის უცხოური გამოცდილების გაზიარება, საქართველოს საბანკო სექტორში განხორციელებული ახალი სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი, სახელმწიფოს როლის გამოვლენა ქვეყნის ბანკთაშორისი კონკურენციის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით ფიზიკური პირების პასუხისმგებლიან დაკრედიტებაში.

*საკვანძო სიტყვები: ფიზიკური პირი, პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, საბანკო სექტორი, საბანკო რეგულაციები, საბანკო კონკურენცია.*

## შესავალი

მსოფლიო და მათ შორის, საქართველო 2020 წელს კორონა ვირუსის გამო შექმნილი პანდემიის შედეგად ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რაც შეეხო როგორც ჯანდაცვის სისტემას, ასევე ეკონომიკური მიმართულებით ქვეყნის განვითარებას. ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შეჩერდა წარმოებისა და მომსახურების სფეროს საქმიანობის უმეტესი ნაწილი, ჩაიკეტა სახელმწიფო საზღვრები, რამაც, პირველ რიგში, მოსახურების სფეროს გაჩერება განაპირობა. განსაკუთრებით, ტურიზმის სფეროში მომუშავე ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომელთა უმეტესობაც კომერციული ბანკის სესხებით სარგებლობდა (კოპალიანი, 2021), მოულოდნელად დარჩნენ შემოსავლის გარეშე. პანდემიის გამო შექმნილი ვითარების შედეგად საქართველოს საბანკო სექტორმა ოპერატიულად შეძლო ონლაინ რეჟიმში მომსახურებაზე გადასვლა, რაც ნამდვილად არ იყო საკმარისი ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. მსოფლიო პანდემიამ საქართველოს საბანკო სექტორი დააყენა ერთდროულად რამდენიმე გამოწვევის წინაშე, კერძოდ: ლიკვიდობის რისკი, საკრედიტო დაბანდებების შემცირების რისკი, რისკების ზრდა დაკრედიტების მიმართულებით – ბიზნეს სექტორში წარმოშობილი გაურკვეველობა პანდემიის ფონზე და მათი საქმიანობის რენტაბელურობის პროგნოზირების სირთულე, სამომხმარებლო დაკრედიტების სექტორში ფიზიკური პირების დაკრედიტების რისკის ზრდა სამუშაო ადგილების დაკარგვის რისკის პირობებში (შონია, კოპალიანი, 2019), იპოთეკის ბაზრის კრიზისის რისკი, საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაურესების რისკი, საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების შემცირების რისკი, მოგების შემცირების რისკი (შონია, კოპალიანი, დიდბარიძე, 2019).. ამ სირთულეების ფონზე ეროვნულმა ბანკმა მიიღო თანმიმდევრული გადაწყვეტილებები, რათა მაქსიმალურად შეემსუბუქებინა საქართველოს საბანკო სექტორისათვის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური დარტყმა, რადგან ცნობილია, რომ საბანკო სექტორში გამოწვეული ნეგატიური შედეგები ჯაჭვური რეაქციით უარყოფითად აისახება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებული იქნა როგორც თვისობრივი (ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა 5 კომერციული ბანკის ტოპ-მენეჯერთან უფასო საკონსულტაციო მომსახურების სხვადასხვა ფორმების დანერგვის შედეგების შესწავლის მიზნით, ხოლო ჯგუფური ინტერვიუ - ერთ-ერთი ბანკის 10 მსხვილ კლიენტთან ბანკის მომსახურების ხარისხის გამოსავლენად.), ისე რაოდენობრივი მეთოდები. კერძოდ კი, დაკვირვების, შედარების, ეკონომიკური ანალიზის, ანკეტირების, კონტენტ-ანალიზის და მონოგრაფიული კვლევის მეთოდები.

## კვლევის შედეგები

2020 წლის პანდემიით გამოწვეული კრიზისი თვალნათლივ უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობა ეკონომიკური შოკების მიმართ. ფაქტია, რომ საბანკო სექტორი ყველაზე მდგრადი და კარგად კაპიტალიზებული სფეროა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არსებული ზედამხედველობის პირობებში საკმაოდ მობილიზებული, საკმარისი რეზერვებითა და ადეკვატური ბუფერებით შეხვდა საყოველთაო გამოწვევას – პანდემიას, ასევე თანმიმდევრული და აბსოლუტურად ადეკვატურია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ეხმარება ქართულ კომერციულ ბანკებს შეუფერხებლად განაგრძონ ეკონომიკის დაკრედიტება, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკას კრიზისის

სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით დაძლევაში. კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე ოპერატიულად შეიმუშავა და განახორციელა ქვეყნის მასშტაბით, მართალია პირდაპირ არ არის დაკავშირებული ბანკთაშორის კონკურენციასთან, მაგრამ გათვალისწინებულია საბანკო კონცენტრაციის თავიდან აცილების ელემენტები. კერძოდ უზრუნველყოფილია, რომ ყველა მოქმედ ბანკს ჰქონდეს თანაბარი დამხმარე მექანიზმები და ინსტრუმენტები ნეგატიური შედეგების გასაწინააღმდეგებლად, რაც ლიდერ ბანკებს არ მისცემს შანსს ისარგებლონ არსებული მდგომარეობით და დაბალი რეიტინგის ბანკებთან მიმართებაში მოიპოვონ დამატებითი უპირატესობები (Shonia., Mushkudiani., Kopaliani, 2018).

საბანკო სექტორში განხორციელებული ახალი რეგულაციებიდან ცალკე გამოვყოფთ ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით სიახლეს, რომელიც 2018 წლის ბოლოს დამტკიცდა ეროვნული ბანკის მიერ და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ანალოგიური ტიპის რეგულაცია ბოლო პერიოდში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაინერგა, მაგალითად: უნგრეთში, შვედეთში, დანიამში, ლიტვაში, ჩეხეთში, ესტონეთში და სხვა.<sup>1</sup> როგორც ეროვნული ბანკი განმარტავს "ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების" მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. დებულება ვრცელდება, როგორც უშუალოდ ფიზიკურ პირებზე, ასევე ინდივიდუალ მეწარმეებზე (თუ მათი სასესხო ვალდებულება არ აღემატება 2 მლნ ლარს), ასევე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ფიზიკური პირი აწვდის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, სესხის უზრუნველსაყოფად. თავისუფალი კონკურენციის პრინციპების საფუძველზე ახალი რეგულაციის დაცვა მოეთხოვებათ კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ ნებისმიერ სუბიექტებს. დადასტურებულია, რომ საფინანსო ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკით პოზიციონირებდნენ, რამაც გარკვეულწილად უარყოფითი შედეგი გამოიღო მოსახლეობის გადამხდელუნარიანობაზე და ზოგადად მათ სოციალურ მდგომარეობაზე.

კანონის მიღებას წინ უძღოდა რამდენიმე თვიანი მოსამზადებელი პერიოდი და კანონის სამუშაო ვერსიების განხილვა კომერციული ბანკის წარმომადგენლებთან. ფიზიკური პირების დაკრედიტების გამკაცრების აუცილებლობა კი მოსახლეობის მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ და აღნიშნულის ფონზე გადაუხდელი და პრობლემური ვალდებულებების წილის ზრდამ განაპირობა. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2018 წლის მეორე ნახევრისათვის საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს „კრედიტინფო“-ს შავ სიაში დაახლოებით 650 ათასი მოქალაქე იყო რეგისტრირებული<sup>2</sup>, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობის განხორციელების შესაძლებლობას.

საბანკო სექტორის რეგულაციები ჯერ კიდევ 2018 წლის 1 მაისიდან გამკაცრდა, რამაც მოამზადა ნიადაგი შემდეგი მასშტაბური ცვლილებებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ბანკებს მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება დაევადათ. აქვე უნდა ავღნიშნოთ სავალუტო რისკების ადეკვატური გადანაწილების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს მთავრობასთან ერთად განხორციელებული პროექტი 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხების გალარების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მსესხებლებს მიეცათ საშუალება განსაზღვრული პერიოდის მანძილზე მოეხდინათ ვალუტის სესხის კონვერტირება ლარში შეღავათიანი კურსით.

ზემოთ აღნიშნული და 2019 წლის იანვრიდან დაანონსებული რეგულაციების მოლოდინის გამოც შეიძლება აიხსნას ის პროცესი, რომ კომერციულმა ბანკებმა ჯამში 55 სერვის-ცენტრი დახურეს. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის დეკემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომერციული ბანკების სერვის-ცენტრები

<sup>1</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4422157?publication=0>

<sup>2</sup> <https://mycreditinfo.ge/wm.php?page=home&c=lapza>

847-დან 792-მდე შემცირდა. ამის ფონზე გაიზარდა ფილიალების რაოდენობა, თუმცა მხოლოდ ერთი ერთეულით 134-დან 135-მდე. სამწუხარო ტენდენცია რაც რეგულაციას მოჰყვა, იყო წლის დასაწყისში ბანკების ნაწილში თანამშრომელთა ოპტიმიზაციის პროცესი. 01.01.2019 წლიდან ამოქმედებული ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები და საკვანძო საკითხები:

**შემოსავლების შეფასება** – მსესხებლის შემოსავლის შესწავლა, კრედიტის გადახდის ფინანსური შესაძლებლობის შეფასებისათვის. დადასტურებული შემოსავლის ტიპები, როგორცაა ხელფასი, იჯარა, დივიდენდი და ა.შ. განსაზღვრულია დაკრედიტების დებულებით. ასევე ბანკებს აქვთ უფლება შეიმუშაონ და ეროვნულ ბანკს შეუთანხმონ დაუდასტურებელი ტიპის შემოსავლების დათვლის პრინციპი.

**სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები** – დებულებით განსაზღვრულია მისაღები სესხის ყოველთვიური შენატანის ყოველთვიურ დადასტურებულ შემოსავალთან თანაფარდობის მაქსიმალური დასაშვები ნორმა (PTI) და სესხის თანხის გირაოში წარმოდგენილი უძრავი ქონების ღირებულებასთან შეფარდების მაქსიმალური ზღვარი (LTV), იხ. ცხრილი 1–2.

**ცხრილი 1. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები**

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/uploads/01/281 .PDF>

ხოლო, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაზე სხვადასხვაა (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2. სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი**

ლარით გაცემული სესხებისთვის	უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის
85%	70%

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/uploads/01/281 .PDF>

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის გაანგარიშება ხდება ჰეჯირებული და არაჰეჯირებული მსესხებლების კატეგორიის მიხედვით. ჰეჯირება წარმოადგენს სავალუტო რისკების დაზღვევის მეთოდს და ამ შემთხვევაში, ჰეჯირებულია მსესხებელი, თუ მისი წმინდა შემოსავლები არანაკლებია იმავე ვალუტაში არსებული სესხის მომსახურებისთვის საჭირო წმინდა შემოსავალზე. არაჰეჯირებულად ითვლება ისეთ მსესხებელი, რომლის ყოველთვიური წმინდა შემოსავალი და სესხის ვალდებულება არის სხვადასხვა ვალუტაში.

**დაანგარიშების პრინციპები** – როცა მსესხებლის ყოველთვიური შემოსავლები განსხვავებულია ან ფიქსირდება ყოველთვიურისაგან განსხვავებული პერიოდულობის რეგულარული შემოსავლები, შემოსავლად აიღება მაქსიმალური მნიშვნელობა შესაბამისი პერიოდის მედიანურ და საშუალო მაჩვენებლებს შორის.

**სანქციები** – ეროვნულ ბანკს განსაზღვრული აქვს ჯარიმები დებულების დარღვევის შემთხვევის დაფიქსირებისას.

საკრედიტო დაწესებულებები ვალდებული არიან განსხვავებული სასესხო პროდუქტის გაშვებამდე, მათ შორის, არსებული სტუდენტური სესხების პირობებიც კი შეათანხმონ ეროვნულ ბანკთან და შემდეგ გასცენ სესხები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დებულების მიღმა დარჩა 2019 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხების ვალდებულების გარდის გარეშე რეფინანსირებების შემთხვევები, რაც კომერციულ ბანკებს აძლევს საშუალებას კონკურენტული პირობების შეთავაზებით გადმოიბირონ მსესხებლები.

აღნიშნული დებულება ავალდებულებს პირს დარეგისტრირდეს ეროვნულ ბანკში, თუ მისგან 20–ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სესხი აღებული, რადგან ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირი ითვლება სესხის გამცემ სუბიექტად. წლის დასაწყისშივე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზემოაღნიშნულ რეგისტრაციას თავს არიდებდნენ სესხის გამცემი ფიზიკური პირები, ეს კი, გარდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, ასევე შეიცავს ფინანსური სახსრების დაბრუნებადობის რისკსაც.

ფაქტია, რომ რეგულაციის პირობები მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე საცალო პროდუქტების გაყიდვების მასშტაბებს. აღსანიშნავია, რომ ის ძირითადად სამომხმარებლო ტიპის სესხებს შეეხო, რითაც ბაზარი ზომავზე მეტად იყო გაჯერებული. სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნა საზღვრების გარეშე შეიძლება გაიზარდოს და ფულის მიწოდება ამ ტიპის სესხების სახით იზრდებოდა წლების მანძილზე. შედეგად კი მივიღეთ, რომ აღნიშნული ჭარბი სამომხმარებლო დაკრედიტებით ქვეყნის ეკონომიკა სარგებელს ვერ ნახულობდა, რადგან ამ ტიპის სესხები არ ემსახურება ბიზნესის განვითარებას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას და რაიმე დოვლათის წარმოებას ქვეყანაში. სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული სესხების აბსოლუტური უმრავლესობა მიემართება სხვადასხვა ტიპის სამომხმარებლო პროდუქტების შესაძენად, რომლებიც როგორც წესი იმპორტირებულია და არ არის შექმნილი ჩვენი ეროვნული წარმოების მიერ. შესაბამისად, ფული ავტომატურად გაედინება ქვეყნიდან, არ იძლევა ეკონომიკურ ეფექტს და არ მონაწილეობს ქვეყანის შიგნით დოვლათის დაგროვებაში. სწორედ ეს იყო ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც საფუძვლად დაედო ჭარბი სამომხმარებლო დაკრედიტების შეზღუდვას.

როგორც მოსალოდნელი იყო რეგულაციამ პირდაპირ იმოქმედა ელექტროტექნიკის და საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიების გაყიდვებზე. ფაქტია, რომ ამ სექტორში საცალო გაყიდვების 90% განვადებით შესყიდვაზე მოდიოდა, განვადებების კატასტროფულად შემცირების ფონზე შემცირდა გაყიდვებიც. ზოგიერთმა ბანკმა, მაგალითად სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" საერთოდ გააუქმა ტექნიკის განვადების პროდუქტი. ახალი შეზღუდვების გამო დევლოპერულ სფეროში ბინების გაყიდვები რეგულაციის საწყის ეტაპზე 2018 წლის იანვრის თვესთან შედარებით რიგი კომპანიებისათვის 30%-ით, ხოლო სხვებისათვის 70%-ით არის შემცირებული, თუმცა ფასები ისევ მაღალია. მაგრამ მხოლოდ 2019 წლის პირველი თვის მონაცემებით დასკვნების გამოტანა და განზოგადება არასწორი იქნება, გარკვეული დრო ბანკებსაც დასჭირდათ, რომ ახალ რეგულაციას მორგებოდნენ. ამასთან იანვრის თვე ყოველთვის პასიურობით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მაინც გვინდა შევადაროთ კომერციული ბანკების მიერ 2017–2020 წლების იანვრის თვის ფიზიკური პირების დაკრედიტების მაჩვენებლები ერთმანეთს (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სამომხმარებლო სესხების დავალიანების მოცულობა (ათასი ლარი)**

ფიზიკური პირების სამომხმარებლო სესხების მოცულობა			
31.01.2017	31.01.2018	31.01.2019	31.01.2020
2,777,376	3,765,391	3,912,446	4,105,527

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306> სამომხმარებლო სესხები (ნაშთები)

ცხრილიდან ჩანს, რომ მიუხედავად ახალი საბანკო რეგულაციებისა გაზრდილია ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა სამომხმარებლო სესხების მიხედვით. თუმცა, 2017-2018 წლის იანვრის თვის მონაცემებთან შედარებით 2019-2020 წლების იანვრის თვის მონაცემები უმნიშვნელოა. თუ 2018 წლის იანვარში 2017 წლის იანვართან შედარებით 35,5% იყო გაზრდილი, 2020 წლის იანვარში 2019 წლის იანვართან შედარებით - 4,9%-ით გაიზარდა. აქვე არის ყურადღება გასამახვილებელი იმაზე, რომ წლების მიხედვით აღნიშნულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებიც გაზრდილია და მხოლოდ 2020 წლის იანვარში არის 0,1 %-ით შემცირებული (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4. საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ფიზიკური პირების სამომხმარებლო სესხებზე (პროცენტებში)**

საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ფიზიკური პირების სამომხმარებლო სესხებზე (პროცენტებში)			
31.01.2017	31.01.2018	31.01.2019	31.01.2020
15	16,5	16,9	16,8

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306> სამომხმარებლო სესხები (ნაშთები)

ასევე, საინტერესოა ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფით გაცემული სესხების მოცულობა (ცხრილი 5)

**ცხრილი 5. ფიზიკურ პირებზე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (ათასი ლარი)<sup>3</sup>**

	უძრავი უზრუნველყოფილი მოცულობა მდგომარეობით		ქონებით სესხების ბოლოს		თვის განმავლობაში გაცემული სესხები
	ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით	ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით	ეროვნული ვალუტით
31.01.2017	968,899	4,590,154	88,313	150,219	
31.01.2018	2,111,640	4,379,656	203,688	153,808	
31.12.2018	2,888,912	5,816,785	213,538	395,186	

<sup>3</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>

<b>31.01.2019</b>	2,893,624	5,708,234	95,507	79,634
<b>31.01.2020</b>	4,520,426	5,869,879	162,396	174,928

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306> უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები

ცხრილიდან ჩანს, რომ ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში წლების მიხედვით მზარდია, მხოლოდ 2018 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით 2019 წლის იანვრის თვეში არის კლება, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში.

ეროვნულმა ბანკმა მოგვიანებით შეამსუბუქა ზემოთ აღნიშნული რეგულაცია და ცვლილება შეიტანა ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულებაში, ეროვნული ბანკის ბრძანება № 44/04 "ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" 2020 წლის 13 მარტი<sup>4</sup>. ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 15 აპრილიდან, ბანკების დაკრედიტების მიკრომენეჯმენტში ნაკლებ ჩარევას გულისხმობს და აძლევს მათ საშუალებას გახდნენ უფრო მოქნილები და დაკრედიტების ზრდის შესაბამისად გაზარდონ საოპერაციო ეფექტიანობა, კერძოდ:

- ✓ ბანკებს მიეცათ თავისუფლება თავად შიდა პროცედურით განსაზღვრონ თვითდასაქმებულის შემოსავლის დადგენის წესი;
- ✓ მხოლოდ ლარში გაცემული/გასაცემი სესხებისათვის შეიცვალა სესხის მომსახურების კოეფიციენტის ზღვრების ოდენობა და განისაზღვა ორი ზღვრული მაჩვენებელი (ვალუტაში დარჩა უცვლელი), (იხ. ცხრილი 6):

#### ცხრილი 6. სესხის მომსახურების კოეფიციენტი

შემოსავალი (ხელზე ასაღები)	PTI კოეფიციენტი– სესხი უცხოურ ვალუტაში	PTI კოეფიციენტი სესხი
<1,000	20%	25%
>=1,000	30%	50%

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3881>

- ✓ გაიზარდა იპოთეკური სესხის მაქსიმალური ვადა 15–დან 20 წლამდე;
- ✓ საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლის მქონე მსესხებლებისათვის შემცირდა სესხის უზრუნველყოფის LTV კოეფიციენტი 60%–დან 70% მდე;
- ✓ ფიზიკურ პირებს, რომელთა სესხებიც აღემატება 1 მლნ ლარს (ცვლილებამდე იყო 2 მლნ ლარი) აღარ შეეხება აღნიშნული რეგულაცია.

უნდა ავლნიშნოთ, რომ რეგულაცია აუცილებელი იყო ჭარბი დაკრედიტების ტვირთისაგან მოსახლეობის გათავისუფლებისათვის. მსესხებლების დიდი ნაწილი გაუაზრებლად იღებდა საკრედიტო პროდუქტებს, რასაც ხშირად ისინი არა მარტო ფინანსურ კრიზისამდე, არამედ საცხოვრებელი უძრავი ქონების დაკარგვამდეც მიჰყავდა.


<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4822603?publication=0>

რეგულაციამდე უამრავი შემთხვევა ფიქსირდებოდა, როდესაც მსესხებელს დადასტურებული შემოსავალი ჰქონდა მხოლოდ 700 ლარი, ხოლო ყველა საკრედიტო ვალდებულების ყოველთვიური შენატანი შეადგენდა 500 ლარს. გრძელვადიან პერიოდში აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მოსახლეობის ფინანსური განათლების სტრატეგია დაწყებული საშუალო სკოლის სასწავლო კურსებიდან, ხოლო მოკლევადიან პერიოდში მექანიკურად შეზღუდა ჭარბ დაკრედიტებაზე ხელმისაწვდომობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკებზე მეტად ჭარბვალდიანობის პრობლემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და განსაკუთრებით ონლაინ სესხების გამცემი სუბიექტებიდან მომდინარეობდა. 2008 წლიდან დაწყებული ონლაინ სესხების გაცემის პროცესი არ ექვემდებარებოდა სეზონის რეგულაციას, შესაბამისად 2017 წლამდე, როდესაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ჭერი დადგინდა 100/150%, მათ მიერ გაცემული სესხების ეს მაჩვენებელი 700%-საც კი სცდებოდა. ფაქტიურად ეს კომპანიები მოსახლეობის გადატაკებას ემსახურებოდნენ და ქვეყნიდან თანხის გადინებას უწყობდნენ ხელს. ამას ადასტურებს ისიც რომ 2018 წლის დასასრულს "ფონდი ქართუს" მიერ დაფარული მოსახლეობის გადაუხდეელი კრედიტების მხოლოდ 25% იყო ბანკების ვალდებულებები, დანარჩენი კი არასაბანკო სექტორს ეკუთვნოდა. 2017 წლისათვის ასეთი 75 კომპანია ფიქსირდება საქართველოში, 2018 წ რიცხვი 25-მდე შემცირდა, ხოლო 2019 წლის რეგულაციის შემდეგ ფაქტიურად მხოლოდ ერთეულები დარჩა ბაზარზე.

2019 წ 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს საბანკო და არასაბანკო სექტორი წარმოდგენილია შემდეგი მონაწილეებით (იხ. ნახაზი 1).

**ნახაზი 1. საბანკო და არასაბანკო სექტორის წილობრივი მონაწილეობა საქართველოს საფინანსო ბაზარზე**



წყარო: [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli\\_banki\\_211020.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf)

ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის ამოქმედებიდან დღემდე სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვხედავთ, რომ აღნიშნული რეგულაცია ნამდვილად ემსახურებოდა ფინანსური ბაზრის სტაბილურობას და ფასების სტაბილიზაციას, ამასთან ერთად, თანაბარ პირობებში ჩააყენა როგორც საბანკო, ისე არასაბანკო სექტორი ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით. ასევე, უნდა ავღნიშნოთ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ლარიზაციის ღონისძიების შედეგები: 2017 წლის 15 იანვრიდან ფიზიკურ პირებზე 100 ათას ლარამდე სესხები გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით, ხოლო 2019 წლის 24 იანვრიდან, უკვე 200 000 ლარამდე სესხები, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. შედეგად მივიღეთ ის, რომ 2018 წლის ბოლოსთვის 2017 წელთან შედარებით სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 9%-ითაა შემცირებული და 57%-ს წარმოადგენს. დეპოზიტების დოლარიზაციას რაც შეეხება, ის 8%-თაა შემცირებული და 2018 წლის ბოლო



მაჩვენებლით 63%-ია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკური პირების დედოლარიზაციის საკითხი, აქ 11%-ით არის შემცირებული მაჩვენებელი და 47.7%-ია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანი რაც აღნიშნულ რეგულაციას ედო საფუძვლად პირველივე წელიწადში ფაქტიურად მიღწეული იქნა, დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირების მხრივ, ეტაპობრივად უმჯობესდება სასესხო პორტფელების ხარისხი, საერთო სესხების მასაში მცირდება მაღალი საკრედიტო ტვირთით გაცემული სესხებისა და უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა, რაც მოსახლეობის საკმაოდ სოლიდური ნაწილისათვის ფინანსური პრობლემების მიზეზს წარმოადგენდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ რეგულაციის ამოქმედებას მოჰყვა დამატებითი სასესხო რესურსების გადასროლა მცირე და საშუალო ბიზნესის დასაკრედიტებლად, შესაბამისად საგრძნობლად გაიზარდა ბანკების მიერ იმ სეგმენტების დაფინანსება, რომლებიც ქვეყანაში ქმნიან დოვლათს და აწარმოებენ ეროვნულ პროდუქციას.

## დასკვნა და რეკომენდაციები

მსოფლიო პანდემიის წელიწადს წინ უსწრებდა ერთ–ერთი საუკეთესო წელი ქართული საბანკო სექტორისათვის. მიუხედავად 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების წესისა, რომელსაც წლის დასაწყისში არსებული გარკვეული ვარაუდების მიხედვით საბანკო სექტორში საკრედიტო პორტფელები შემცირება და შესაბამისად საბანკო სექტორის მომგებიანობის შემცირება მოყვებოდა, 2019 წელი ერთ–ერთი საუკეთესო წელიწადი იყო ქართულ საბანკო სივრცეში. 2019 წლის ბოლოს კომერციული ბანკების მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა შეადგინა 32 მლრდ ლარი, შესაბამისად სესხების წლიური ზრდა 16,3% იყო გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე. წელიწადის მანძილზე მკვედრად შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი საკრედიტო პორტფელებში, ასევე საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე ისტორიულ მინიმუმამდე ჩამოვიდა. ზოგადად აღნიშნულ წელიწადში წმინდა საპროცენტო მარჟა და არასაპროცენტო შემოსავლები შემცირდა. თუმცა ზრდისა და მასშტაბის გამო ეფექტიანობის ზრდამ, ასევე აქტივების ხარისხის გაუმჯობესებამ და ცალკეული გაუთვალისწინებელი ხარჯების შემცირებამ მომგებიანობაზე პოზიტიურად იმოქმედა და 15 ბანკიდან 13–მა ბანკმა წელიწადი მაღალი მოგებით დაასრულა, მხოლოდ 2 ბანკი იყო ზარალზე– "სილქ როუდბანკი" და "პაშა ბანკი". მომგებიანობის ტენდენცია ბანკებმა 2020 წ. პირველ თვეშიც შეინარჩუნეს– მხოლოდ ერთ თვეში ბანკების მოგება 41,7%-ით, 90 მლნ ლარამდე გაიზარდა. მაგრამ პირველი (747 მლნ ლ), მეორე (486 მლნ ლ), და მესამე კვარტალი (85,9 მლნ ლ) ზარალით დაამთავრეს. 2020 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ყველა ბანკი ზარალზეა, მხოლოდ ერთმა ბანკმა "სილქროუდ ბანკი" დაამთავრა წლის პირველი ნახევარი 0,25 მლნ ლარი მოგებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარეზერვებამდე ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას მოგება უფიქსირდება, ანუ ბანკების ძირითადი საოპერაციო საქმიანობა ისევ მომგებიანია, კერძოდ ციფრებში გამოხატული 10 თვის საპროცენტო შემოსავალი 4 მლრდ ლარია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს აღემატება 9,16%-ით, კიდევ უფრო რომ ჩავშალოთ ფიზიკური პირების სესხებიდან მიღებული შემოსავალი 3%-ით არის გაზრდილი ერთი წლის წინანდელ მონაცემთან შედარებით.

**საკრედიტო პორტფელები**, მიუხედავად 2020 წლის 15 აპრილიდან ეროვნული ბანკის მიერ ფიზიკური პირის დაკრედიტების საბანკო რეგულაციების გამარტივებისა, COVID-19 მიერ გამოწვეულმა ნეგატიურმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საკრედიტო დაბანდებების მოცულობა, იმ ნიშნულთან მიმართებაში რაც კომერციულ ბანკებს 2020 წლის დასაწყისში გაწერილი ქონდათ წლიური ბიზნეს გეგმის მონაცემებში. ვადაგადაცილებულ სესხებს ეზრდებოდათ სავალდებულო სარეზერვო ნორმა, რაც თავის მხრივ კიდევ ამცირებს კომერციული ბანკების მოგებას. რესტრუქტურისაციის შემთხვევაში კი უკვე კომერციული ბანკები ვერ სთავაზობენ მსესხებლებს ვერც არსებული რეზერვის შენარჩუნებას, რაც ბანკის

გარდა თავად მსესხებლისათვისაც ნეგატიური ფაქტორია რადგან მოქმედებს მის საკრედიტო ისტორიაზე, ასევე გარკვეული ტიპის რესტრუქტურისაციები ავტომატურად მოიცავს არსებულ სესხზე დარიცხული %-ების კაპიტალიზაციას და სესხის საპროცენტო განაკვეთის ზრდას. აღნიშნული შერბილებული რეგულაციები პირდაპირ არ არის დაკავშირებული ბანკთაშორის კონკურენციასთან, თუმცა, გათვალისწინებულია საბანკო კონცენტრაციის თავიდან აცილების ელემენტები, რაც ლიდერ ბანკებს არ მისცემს შანს შთანთქონ რომელიმე დაბალი რეიტინგის ბანკი.

## ბიბლიოგრაფია

კოპალიანი ი. (2021). კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში და მისი რეგულირების სრულყოფის გზები, სადისერტაციო ნაშრომი.

შონია ნ., კოპალიანი ი. (2019). ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში. ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ეკონომიკა და ფინანსები. 2, გვ. 19–32.

შონია ნ., კოპალიანი ი., დიდბარიძე მ. (2019). ჭარბვალიანობა და მისი შეფასების მეთოდები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე საერთაშორისო კონფერენცია – თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 20–21 სექტემბერი, 2019, ქუთაისი.

<http://ejournals.atstu.ge/BLSS/index.html>

<https://drive.google.com/file/d/1xOH2xAwPbCZMTy2OZ4UUWrXGKDpimCbY/view>

Shonia N., Mushkudiani Z., Kopaliani I. (2018), Some Important Aspects of Inter-bank Competition. IPASJ International Journal of Management (IIJM). 6, 2, pp 011-018.

Deloitte Center, (2016). “Top regulatory trends for 2016 in banking”, published by Deloitte Center for Regulatory Strategies; <https://regpulseblog.wordpress.com/tag/banking/page/3/?iframe=true&preview=true%2Ffeed%2F> ნანახია 16.05.21.

საქართველოს მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4822603?publication=0>, ნანახია 16.05.21.

საქართველოს ეროვნული ბანკი  
[https://old.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli\\_banki\\_211020.pdf](https://old.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf) ნანახია 16.05.21.